ჭიათურის მიდამოების ლანდშაფტების ტექნოგენური მოდიფიკაცია და სამთო რეგიონის ეკოლოგიური პრობლემების შეფასება

ნინო კუნელაური

ელ-ფოსტა: nino.kunelauri511@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი,

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1

ბუნება და ადამიანი ოდითგანვე განუყოფელ და მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. ბუნება საზოგადოებისთვის არამარტო საარსებო გარემოა, არამედ სიცოცხლისთვის აუცილებელი რესურსების წყაროც. თავდაპირველად, ადამიანი ბიოცენოზის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა და ფაქტობრივად სხვა ცოცხალი არსებებისაგან არც კი განსხვავდებოდა ზემოქმედების მხრივ, რადგან ამ დროს მისი გავლენა ბუნებრივ პროცესებზე საკმაოდ უსუსური და აშკარად დაბალია. თუმცა, სამრეწველო პერიოდის დადგომასთან ერთად მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. დღესდღეობით, ადამიანის გავლენა ბუნებრივ პროცესებზე ძალიან დიდია და ზოგჯერ კატასტროფულიც.

ეს პრობლემა განსაკუთრებით იგრძნობა მთიან რეგიონებში, სადაც ადამიანის სამეურნეო საქმიანობა საკმაოდ რთულ ბუნებრივ პირობებში ხდება. ადამიანის ზეგავლენით წარმოიქმნა სხვადასხვაგვარი ანთროპოგენური ლანდშაფტი, სწორედ, მისი ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მოდიფიკაციის - ტექნოგენური კომპლექსების კვლევის საკითხებს შევეხებით ამ ნაშრომში.